ვლადიმერ პაპავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველო, თბილისი

ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!

დღეს, 9 სექტემბერს, ქართველი ეკონომისტები „საქართველოს ეკონომისტის დღეს“ აღვნიშნავთ. ამ დღის შემოღების მოკლე ისტორია კი ასეთია: 1918 წელს, 114 წლის წინ, გამოვიდა პირველი ქართული ეკონომიკური ჟურნალი - „საქართველოს ეკონომისტი“. 1999 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად, ჟურნალის გამოსვლის დღეს, სექტემბრის მეორე პარასკევს, „საქართველოს ეკონომისტის დღეს“ აღვნიშნავთ.

2018 წლიდან მოყოლებული ეკონომისტის დღეს ქართველი ეკონომისტები ვატარებთ ერთდღიან ეროვნულ კონფერენციას. ეს იძლევა საშუალებას, ერთმანეთს გავუზიაროთ კვლევის შედეგები და დავსახოთ უახლოესი ამოცანები.

თავიდანვე შევთანხმდით, რომ საქართველოს ეკონომისტთა ეროვნული კონფერენცია ჩატარებულიყო მონაცვლეობით - თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. კერძოდ, I ეროვნული კონფერენცია 2018 წელს ჩატარდა თბილისში, ევროპის უნივერსიტეტში, II ეროვნული კონფერენცია - 2019 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, III ეროვნული კონფერენცია - 2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, 2021 წელს IV ეროვნული კონფერენცია, რომელიც უნდა ჩატარებულიყო გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში COVID-19-ის პანდემიის გამო ერთი წლით გადაიდო.

დღეს საქართველოს ეკონომისტთა IV ეროვნულ კონფერენციას ვატარებთ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სასიხარულოა, რომ 2022 წლის 27 ივლისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, სამსაფეხურიანი სწავლების მქონე ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს გორის უნივერსიტეტიც შემოუერთდა და მას გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდა. გულით ვულოცავ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს და, რა თქმა უნდა, სტუდენტებს ამ დიდ წარმატებას!

2020 წლიდან ეკონომისტები იკვლევენ იმ ატიპიურ ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც COVID-19-ის პანდემიით იყო გამოწვეული. 2022 წლის 24 თებერვლიდან რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა და რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა.

ყოველივე ეს იწვევს მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ტრანსფორმაციას. ბუნებრივია, რომ საქართველოს ეკონომიკა, რომელიც ახერხებს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნებას, დგას ახალი სირთულეების და გამოწვევების წინაშე, რაც ქართველი ეკონომისტების კვლევის უშუალო საგანს წარმოადგენს.

ჩვენ პროფესიულ დღესასწაულს - საქართველოს ეკონომისტის დღეს - ვულოცავ ყველა ეკონომისტს, მეცნიერს და საჯარო მოხელეს, ეკონომიკური პროფილის სამივე საფეხურის სტუდენტებს და ვუსურვებ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

პატივისცემით,

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა
9 სექტემბერი, 2022 წელი